# მევენახეებო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით!

საქართველოში თითქმის ვერ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც ვაზის კულტურას არ იცნობდნენ და პატივს არ სცემდნენ. ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სიმდიდრის წყაროს სწორედ ვენახი წარმოადგენს.

ჩვენს რესპუბლიკაში ძველთაგანვე უამრავი ვაზის ჯიშები იყო გავრცელებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ჯიშები ხელშემწყობ ეკოლოგიურ პირობებში მრავალ საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდნენ და გაოკვეული ჯგუფი ჯიშებისა თავშესაფარს პოულობდა ამა თუ იმ მხარის მიკროუბანში. ყველაზე გავრცელებულია „რქაწითელი", „კახური მწვანე", „გორულა მწვანე", „ხიხვი" ანუ „ჯანანურა", „ციცქა", „ცოლიკაური", „საფერავი", „ოჯალეში", „ჩხავერი", „ალექსანდროული" და სხვ.

თუ თვალს გადავავლებთ ჯიშების მიხედვით ვენახების გაშენებას, დავინახავთ, რომ ამ საქმეს ბევრგან ბოლო წლებში ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად კახეთის რაიონებში გასაშენებლად რეკომენდებულია „საფერავი", „მწვანე", „ხიხვი". მათ ნაცვლად აქ მხოლოდ „რქაწითელს" აშენებენ. ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა პირველი რიგის ამოცანაა მომავალში აღარ დაუშვან აღნიშნული მდგომარეობა და რეკომენდებული ჯიშებით გააშენონ ვენახები. ანალოგიური მდგომარეობაა ქართლისა და იმერეთის მევენახეობის რაიონებში.

ზოგიერთ რაიონში უხეშად ირღვევა ვენახების დამუშავების აგროწესები. ზოგან ვენახებში თესავენ სიმინდსა და სხვა სათოხნ კულტურებს, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ვაზის ზრდა-განვითარებაზე, პირველ რიგში კი მოსავლიანობაზე. მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის, ცაგერის, ბოლნისის რაიონების ხელმძღვანელებმა ასეთი მავნე პრაქტიკა უნდა აღკვეთონ.

როგორც ცნობილია, აგროტექნიკური მოვლა მთავარია მევენახეობაში. მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთ რაიონში ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვაზი დაკნინდა, დამეჩხერიანდა, ზოგან კი ახლადგაშენებული ვენახები მთლიანად დაიღუპა. ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში იმის ნახევარიც არა აქვთ ვენახები, რაც გეგმით არის გათვალისწინებული. ამ რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობის განვითარების საქმე სავალალო მდგომარეობაშია, იმის გამო, რომ აქ ნაკლები ყურადღება ექცევა ვენახების აგროწესებით მოვლა-პატრონობის საქმეს, სუსტად იბრძვიან მეჩხერიანობისა და დაავადებათა წინააღმდეგ, წლითიწლობით მცირდება მოსავლიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონში ერთპიროვნულ მეურნეობებში უფრო მაღალ მოსავალს იღებენ, ვიდრე კოლმეურნეობებში. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ რაიონის კოლმეურნეობებს შეუძლიათ ყურძნის მაღალი მოსავალი მოიყვანონ, თუ აგროწესების ზუსტად დაცვით დამუშავდება ვენახები, თუ ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებენ მეჩხერიანობისა და დაავადებების წინააღმდეგ. ზესტაფონის რაიონში გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რომ მევენახეობის განვითარების საქმეში არსებული ნაკლოვანებები დროულად აღმოფხვრან. ამისათვის საჭიროა მთელი ძალით აამოქმედონ და გამოიყენონ გამოუყენებელი რეზერვები, ფართოდ დანერგონ მოწინავე საბჭოთა აგროწესები და მუქურების გამოცდილება. ანალოგიური მდგომარეობაა მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებშიც.

ყურძნის დაბალ მოსავალს იღებენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში. ეს პირველ რიგში ითქმის მცხეთის, წინანდლის, ვარციხის და სხვა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებზე. მათ ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია დააკლეს სახელმწიფოს. ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების სამმართველომ. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, აგროტექნიკოსთა და თვითეული მევენახის წმიდათა-წმიდა ვალია არ დაუშვან შემდგომში ჩამორჩენა, იბრძოლონ უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

შემოწმებით დადგენილია, რომ ზოგიერთ რაიონში ყურადღება არ ექცევა სადედეებსა და სანერგე მეურნეობებს. ზესტაფონის, ყვარლის, მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სანერგე და სადედე მეურნეობები. ძალზე დაბალია ლერწისა და ნერგის გამოსავლიანობა.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, თუ არა დაუდევრობით, რომ ზოგიერთ რაიონში ჩამორჩენა ვენახების შემოდგომა-ზამთრის სამუშაოებში შეუწყნარებლად გრძელდება. პირველი ნოემბრისათვის რესპუბლიკაში ეს სამუშაო 10,5 პროცენტით არის შესრულებული.

მევენახეობის რაიონების ხელმძღვანელთა, მევენახეთა გადაუდებელი ამოცანაა ერთხელ კიდევ გულდასმით განიხილონ და საქმიანი დასკვნები გააკეთონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის დადგენილებიდან „საქართველოს სსრ მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარებისა და ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების შესრულების შესახებ იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. აღმოჩნდა, რომ ეს დადგენილება არადამაკმაყოფილებლად სრულდება, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

საქართველოს მევენახეთა გადაუდებელი ამოცანაა მზრუნველობა არ მოაკლონ ერის საუნჯეს—ვენახს, უახლოეს მომავალში გამოასწორონ ნაკლოვანებანი, დაძლიონ ჩამორჩენა, განუხრელად იბრძოლონ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის. საქართველოს მევენახეებს ყველა პირობა აქვთ საპატიო წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

მევენახეებო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით!

## დიდი ფორუმი

### არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

მოსკოვი, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიხსნა ცენტრალური, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და ვოლგა-ვიატკის ეკონომიური რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

11 ათასზე მეტი კაცი — მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები განიხილავენ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უკეთ არაშავმიწანიადაგიანი ზონის პირობებში სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე, როგორ უნდა შეიქმნას უფრო სწრაფად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. სპირიდონოვი, ა. ნ. შელეპინი.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ვორონოვმა. მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ს. პოლიანსკიმ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 281 (12195) | ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

# შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

## მხარს ვუჭერთ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას

### მანქანათმშენებელთა სიტყვა

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე საწარმოა. უკანასკნელ წლებში ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა ახალი მანქანებისა და სპეციალური ნაკადური ხაზების წარმოება მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგისათვის, როგორიც არის მეღვინეობა. თბილისელ მანქანათმშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პროდუქციას წარმატებით იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი მონდომებით შრომობს იმისათვის, რომ საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავროს მიმდინარე საწარმოო წელი. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის სახელმწიფო გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულეს ასორტიმენტის სრული დაცვით.

შრომის უკეთესი ორგანიზაციის, წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად ორჯონიკიძელებმა შრომის ნაყოფიერება წლის დასაწყისიდან გეგმასთან შედარებით 2,1 პროცენტით აამაღლეს. ამავე პერიოდში პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 4,6 პროცენტით, რამაც საწარმოს საშუალება მისცა დაეზოგა 78 ათასი მანეთი.

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით თბილისელ მანქანათმშენებლებს გადაეცათ პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

წარმატებებით აღფრთოვანებულმა საწარმოს კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას, აწონ-დაწონა თავის შესაძლებლობანი და გადაწყვიტა:

**1. საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს 1965 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა (ასორტიმენტის სრული დაცვით) 5 დეკემბრისათვის;**

**2. შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 1,5 პროცენტით უფრო მეტად, ვიდრე ამას შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს;**

**3. 1964 წელს დაამთავროს მშვიდი ღვინოებისათვის ავტომატური ხაზების წარმოება;**

**4. 1964 წელს დაამთავროს ყურძნის პირველადი გადამუშავების ნაკადური ხაზების (წარმადობა 10 ტონა საათში) წარმოება;**

**5. 1965 წლისათვის ქარხანა მთლიანად გადაიყვანოს უფრო სრულყოფილი და მაღალი წარმადობის მანქანების გამოშვებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის;**

**6. შვიდწლიან გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს იმ ოდენობით, რომ სახელმწიფოს მისცეს 300 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი ეკონომია.**

## მეცემენტეები დროს უსწრებენ

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ინიციატივას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის შეჯიბრების გაშლების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ახალგაზრდა საწარმოს — ცემენტის ქარხნის მუშები, მოსამსახურეები, მთელი კოლექტივი.

იბრძვიან რა პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის მეცემენტეები ახალ წარმატებებს აღწევენ. ისინი ყოველდღიურად, გეგმის გადამეტებით აძლევენ სამშობლოს ასობით ტონა ცემენტს, კლინკერს.

ამ დღეებში რუსთავის მეცემენტეებმა ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს, არსებულ რეზერვებს და მეტალურგთა მოწოდების პასუხად იკისრეს:

შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებთან შედარებით 58 პროცენტით გაზარდონ ცემენტის, ხოლო 62 პროცენტით კლინკერის წარმოება;

ტონა ცემენტის თვითღირებულება შეამცირონ 1 მანეთითა და 11 კაპიკით;

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 33 პროცენტით;

ცემენტის საშუალო მარკიანობა აიყვანონ „470"-მდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული „400"-სა.

უახლოეს პერიოდში მთლიანად დანერგონ მბრუნავი ღუმელების ორმხრივი კვება. ეს ღონისძიება 10 პროცენტით გაზრდის კლინკერის წარმოებას, ხოლო 20 პროცენტით ცემენტისას;

1962-1963 წლებისათვის მწყობრში ჩააყენონ მესამე ტექნოლოგიური ხაზი — კიდევ ერთი მბრუნავი ღუმელი, რაც 33,35 პროცენტით გაზრდის ცემენტის წარმოებას;

1962 წელს ფართოდ გამოიყენონ წითელწყაროს კირქვა, რაც 150 ათასი მანეთით შეამცირებს ქარხნის წლიურ დანახარჯებს;

შვიდწლედის ბოლოსათვის მიაღწიონ საწარმოო პროცესების სრულ ავტომატიზაციას.

ასე ვარაუდობენ რუსთავის მეცემენტეები თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.



ამ სურათებზე თქვენ ხედავთ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს, რომელთა შრომა და ცხოვრება მისაბაძია. ესენი არიან ჩვენი დროის ახალი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

პირველი მათგანი (მარცხნიდან) არის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წარჩინებული მქსოველი ხატიჯა რამიშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს. მეორე, სიმინდის ხვავთან რომ დგას, ეს არის ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდას" მოწინავე მესიმინდე ლევანტი ჯაბუა. მან ერთ ჰექტარზე 67 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ბოლოს, ეს გოგონა ნელი გვარამაძეა. იგი კომკავშირის საგზურით მოვიდა ხაშურის რაიონის სოფელ ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ და მალე მოწინავე მევენახის სახელი დაიმსახურა.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარებისა და ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" დამაკმაყოფილებლად არ სრულდება.

ამ უკანასკნელ წლებში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ვენახების შემდგომ განვითარებასა და მოვლას, რის შედეგად შემცირდა მოსავლიანობა და არ სრულდება სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ახალგაზრდა ვენახები, საძირე ვაზის სადედეები და სანერგეები.

მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მეტია ვენახები, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და საშუალო მოსავალს ისინი 2-3-ჯერ მეტს იღებენ. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 47,6 ცენტნერი ყურძენი, 1960 წელს — 26,2 ცენტნერი, ხოლო 1961 წელს—26 ცენტნერი. ამავე დროს საკარმიდამო ნაკვეთებზე 1959 წელს მიღებულია ჰექტარზე 104 ცენტნერი და 1960 წელს 80 ცენტნერი ყურძენი. მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს ჰექტარზე მიღებულია 26,3 ცენტნერი ყურძენი და 1960 წელს 26 ცენტნერი, საკარმიდამო ნაკვეთებზე კი 1959 წელს—102 ცენტნერი და 1960 წელს — 125 ცენტნერი.

ზესტაფონის რაიონში განსაზოგადოებული ვენახების ფართობი შეადგენს მხოლოდ 46 პროცენტს, მაიაკოვსკის რაიონში — 35 და ვანის რაიონში — 33 პროცენტს.

არ სრულდება ვენახების ჯიშობრივი გაშენების გეგმები. კახეთში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ჯიშების „საფერავის", „მწვანისა" და „ხიხვის" ნაცვლად მრავლდება მხოლოდ „რქაწითელი". ახმეტის რაიონში 1959-1960 წლებში კოლმეურნეობებს უნდა გაეშენებინათ 83 ჰექტარი „საფერავის", „მწვანისა" და „ხიხვის" ჯიშის ვენახები, ფაქტიურად გაშენდა მხოლოდ 19 ჰექტარი „მწვანე". სიღნაღის რაიონში „მწვანისა" და „საფერავის" ჯიშის 44 ჰექტარი ვენახის ნაცვლად გაშენდა მხოლოდ „რქაწითელი". ყვარლის რაიონმა 214 ჰექტარი „საფერავისა" და „მწვანის" ნაცვლად გააშენა მხოლოდ „საფერავი" და ისიც 17 ჰექტარი.

ორჯონიკიძის რაიონში უნდა გაეშენებინათ 29 ჰექტარი „პინო" და „ალიგოტე". ფაქტიურად კი არც ერთი ჰექტარი არ გაშენებულა. ზესტაფონის რაიონში „კრახუნას" ჯიშის 32 ჰექტარი ვენახის ნაცვლად გაშენებულია მხოლოდ 6 ჰექტარი. ანალოგიური მდგომარეობაა თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, გორის, თერჯოლის, გეგეჭკორისა და ცაგერის რაიონებში.

მეტ წილ რაიონებში ვენახების დიდი სიმეჩხრეა. მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში იგი შეადგენს 23, კასპის რაიონის — 21, გორის — 20, საგარეჯოს —16, ყვარლის — 19, ზესტაფონის — 28, ვანის რაიონის კოლმეურნეობებში — 22 და აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში — 21 პროცენტს. განსაკუთრებით დიდი სიმეჩხრეა ახალგაზრდა ვენახებში— ზოგიერთ ნაკვეთზე 40-45 პროცენტამდე. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში სიმეჩხრე საშუალოდ 16 პროცენტს შეადგენს. შრომისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებში — 26, კარდანახის — 22, ვარციხის — 33, არგვეთის — 20 და წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში — 33 პროცენტს.

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის, ცაგერის, ბოლნისისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობათა ვენახებში მასობრივად თესავენ სიმინდს, სამარცვლე სოიასა და სხვა სათოხნ კულტურებს, რითაც საგრძნობ ზიანს აყენებენ ვაზს.

ბოლნისის, გორის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძის, ამბროლაურისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ვენახები სისტემატურად დაუმუშავებელი რჩება და ძლიერ მორეულია სარეველა. გურჯაანის, თელავის, ახმეტისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზაფხულის პერიოდში კულტივაციის ნაცვლად ხნავენ 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე, რაც იწვევს ნიადაგის გამოშრობას და აუარესებს მის სტრუქტურას.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უხეშად არღვევენ ვენახების მოვლის აგროტექნიკურ ხერხებს, რის გამო ნარგავები ძლიერ გამეჩხრებული და დასუსტებულია, ზოგიერთ ნაკვეთზე კი სულ დაიღუპა. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის დამდეგს ვენახების ფართობი უნდა ყოფილიყო 2.208 ჰექტარი, ფაქტიურად კი 1.521 ჰექტარია. სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 201 ჰექტარი ვენახის ნაცვლად 139 ჰექტარია.

ვენახების მოვლის აგროტექნიკურ ხერხებს უხეშად არღვევენ აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში, რის შედეგად სიმეჩხრემ საშუალოდ 30 პროცენტს მიაღწია. 1959-1961 წლებში გაშენებული 160 ჰექტარი ვენახიდან დარჩა 104 ჰექტარი. მოსავლიანობა უკანასკნელ 3 წელიწადში საშუალოდ ჰექტარზე შემცირდა 26 ცენტნერით. სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ითვლება 74,5 ჰექტარი ვენახი, ფაქტიურად არის 52 ჰექტარი. ფართობის შემცირება მოხდა უმთავრესად ახალგაზრდა ვენახების დაღუპვის გამო. კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მცირდება ყურძნის მოსავალი. 1958 წელს ჰექტარზე მიიღეს საშუალოდ 32 ცენტნერი, 1959 წელს — 19, 1960 წელს — 14,6 ცენტნერი, მიმდინარე წელს — 11,6 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის მცირე მოსავალს იღებენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები. მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 1960 წელს 48 ჰექტარი ვენახის ჰექტარზე მიიღო 43 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 54 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო 1961 წელს 50 ჰექტარ ფართობზე — 34,1 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერის ნაცვლად. წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა 1958 წლიდან ვერ ასრულებს ყურძნის მოსავლიანობის გეგმებს. 1958 წელს 563 ჰექტარ ვენახში საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 33,4 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერის ნაცვლად. მეურნეობის ზარალმა შეადგინა 192,5 ათასი მანეთი. 1959 წელს ჰექტარზე მოვიდა 24,3 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 54 ცენტნერის ნაცვლად, ზარალია— 355,6 ათასი მანეთი, 1961 წელს ჰექტარზე მიიღეს 30,8 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 41 ცენტნერის ნაცვლად.

ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ 1960 წელს 29 ჰექტარ ვენახში საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 28,3 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო 1961 წელს — 17,1 ცენტნერი 43 ცენტნერის ნაცვლად.

მცირე მოსავალი მიიღეს უკანასკნელ წლებში არგვეთის, მანავის, კარდანახისა და ზოგიერთმა სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საძირე ვაზის სადედეები და სანერგეები კოლმეურნეობებში, რის შედეგად საძირე ვაზის რქის გამოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე არ აღემატება 15-18 ათას ცალს, ხოლო პირველხარისხოვანი დამყნილი ვაზის ნერგებისა — 25-28 პროცენტს. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში საძირე ვაზის სტანდარტული (110 სანტიმეტრი სიგრძის) კალმის გამოსავლიანობა შეადგენს ჰექტარზე 6 ათას ცალს, ზესტაფონისა — 11 ათასს, თერჯოლისა — 9 ათასს, მაიაკოვსკისა — 9,7 ათასს, ვანისა — 8 ათასს, ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებში — 11 ათას ცალს. კოლმეურნეობათა 900 ჰექტარი საძირე ვაზის სადედეებიდან შპალერზე გადაყვანილია მხოლოდ 28 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში კი 565 ჰექტარიდან — 310.

მცირეა დამყნილი ვაზის ნერგების გამოსავლიანობა აგრეთვე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით მცხეთის, წინანდლის, ნაფარეულისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

მთელ რიგ მეურნეობებში ჯეროვნად არ აფასებენ ვენახების დამუშავების მექანიზაციის როლს. ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, თერჯოლისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ნიადაგის დამუშავებას, მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლას, სასუქის შეტანას, ნერგების ამოთხრას ძირითადად ხელით აწარმოებენ.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ვენახების, სანერგეებისა და საძირე ვაზის სადედეების დაცვას სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათაგან. მარტო ვაზის ჭრაქით დაავადებისაგან 1960-1961 წლებში ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძისა და ამბროლაურის რაიონებში მოსავლიანობა 30-40 პროცენტით შემცირდა.

საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ საბჭოთა მეურნეობების ვენახებში ორგანული სასუქი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები და ვენახის გაშენება. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაშენებულია 649 ჰექტარი ვენახი 6.284 ჰექტარის ნაცვლად ანუ გეგმის 10,5 პროცენტი.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ცუდად არის ორგანიზებული შრომა, ირღვევა საწარმოო დისციპლინა. ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში 460 შრომისუნარიანი მუშაა, რომელთაგან არ მუშაობს 117. ყულარის საბჭოთა მეურნეობაში 932 კაციდან მუშად გაფორმებულია მხოლოდ 327. მათგან სისტემატურად გამოდის სამუშაოდ მხოლოდ 175 კაცი. ანალოგიური მდგომარეობაა არგვეთისა და მარნეულის საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის მიზანია გაუმჯობესდეს ვენახების მოვლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პარტიის საოლქო კომიტეტები და რაიკომები აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, რაიაღმასკომები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო მოვალენი არიან უზრუნველყონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახალი ვენახების გაშენების გეგმების შესრულება. ვენახების გაშენების გეგმა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ განხორციელებულია დავალება ასორტიმენტის მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა რადიკალურად გაუმჯობესდეს საძირე ვაზის სადედეებისა და სანერგეების მოვლა, რათა მიღებულ იქნას ჰექტარზე საძირე ვაზის სტანდარტული (110 სანტიმეტრი სიგრძის) კალამი საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 40 ათასი, ხოლო კოლმეურნეობებში — 25 ათასი ცალი, პირველი ხარისხის დამყნილი ნერგის გამოსავლიანობა კი უზრუნველყოფილ იქნას სულ ცოტა 40 პროცენტით.

ყველა მეურნეობა მოვალეა 1962 წელს დაამთავროს საძირე ვაზის სადედეების გადაყვანა მავთულის შპალერზე, 1962-1963 წლებში — დაამთავროს მეჩხერი ვენახების რემონტი.

დანაკლისი ვაზის შევსება ახალგაზრდა ვენახებში, როგორც წესი, უნდა წარმოებდეს ვენახის გაშენების პირველი წლის ბოლოს. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ვენახების მოვლის აგროტექნიკური ხერხების კომპლექსის განუხრელი განხორციელება, დაწესდეს მკაცრი კონტროლი ყველა სამუშაოს ხარისხოვნად და დროზე შესრულებისადმი, ფართოდ იქნას გამოყენებული ვენახების მორწყვა შემოდგომისა და ზამთრის პერიოდებში, აგრეთვე ადრე გაზაფხულზე მდინარისა და ხევის წყლებით. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიების დროზე და გულდასმით განხორციელებას. კოლმეურნეობებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციები კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტერიტორიულ სამმართველოს 1962 წლიდან საბჭოთა მეურნეობების დირექციებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების განაცხადებით უზრუნველყონ ვენახების დროზე დამტვერვა, აგრეთვე ბორდოს სითხის შესხურება თვითმფრინავებიდან. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარმა სამმართველომ და რაიაღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ ხელმძღვანელობა შესაბამისი საავიაციო მოედნებისა და დანადგარების ორგანიზაციის დროს ვენახების მკურნალობისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1962 წელს უნდა უზრუნველყოს სულ ცოტა 1,5 მილიონი ცალი რკინაბეტონის ბოძის წარმოება ვენახებისათვის, ხოლო 1963 წლიდან — სულ ცოტა 3 მილიონი ცალისა ყოველწლიურად. რკინაბეტონის ბოძები უნდა გაკეთდეს კარგი ხარისხის და ორი ზომისა — 2 და 2,5 მეტრი.

რესპუბლიკური გაერთიანება — „საქსოფლტექნიკა" მოვალეა ორი თვის ვადაში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განაცხადებით განსაზღვროს, სულ რამდენი ტრაქტორი, მისაბმელი მანქანა და იარაღი, მძლავრი აპარატურაა საჭირო ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე რამდენი წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (ნიჩაბი, თოხი, სეკატორი, სამყნობი დანა, ზურგსაკიდი საფრქვეველი და სასხურებელი და სხვ.), და უზრუნველყოს მათი შეტანა რაიონებში 1962 წლის სეზონისათვის, აგრეთვე მოაწყოს რკინაბეტონის ბოძების წარმოება ვენახებისათვის 1962 წლიდან სულ ცოტა ერთი მილიონი ცალისა ყოველწლიურად, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ხაზით.

დადგენილება ავალებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მოაწყონ აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის ორ-სამ საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო გამოცდა ვენახების დამულჩვისა და სიდერატების დათესვისა ნიადაგში შემდგომი ჩახვნით; მოაწყონ ზამთრის პერიოდში საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებში, მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვაზის გამსხლავთა და მყნობელთა მოკლევადიანი კურსები; 1962 წლიდან გაითვალისწინონ ვაზის აპრობაცია და მასობრივი სელექცია 4.000 ჰექტარზე, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.000 ჰექტარზე და საბჭოთა მეურნეობებში 1.000 ჰექტარზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-საგეგმო კომისიამ გამოუყოს მევენახეობის ძირითადი რაიონების კოლმეურნეობებს 1962 წლის პირველ და მეორე კვარტალში 5 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს დაევალა უზრუნველყოს ორგანული სასუქების ყოველწლიურად შეტანა მთელი ვენახების სულ ცოტა 25 პროცენტ ფართობზე და 70 ათასი ხის ბოძებისა და 300 ათასი ცალი სარის შეტანა მომავალ წელს.

ძლიერი ქარის მავნე მოქმედებისაგან ვენახების დასაცავად საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტთან ერთად დაევალად შეისწავლონ და განახორციელონ სამგორის, ლილოსა და ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობებში ქარსაცავი ზოლების რეკონსტრუქციისათვის საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს 1962 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვენახების პასპორტიზაციის განხორციელების საკითხს.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა უნდა შეისწავლონ და განიხილონ პლენუმებზე ვენახებისა და საძირე ვაზის სადედეების მდგომარეობა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დასახონ და განახორციელონ ვენახების მოვლის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის ჩაფუშვისათვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ა. დ. ტაბატაძე მოხსნილია სამუშაოდან.

ვენახების მოვლისადმი უყაირათო დამოკიდებულებისათვის მკაცრი სასჯელი დაედოთ ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. პ. ბრეგვაძეს და ამავე კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. შ. მ. წაქაძეს. (საქინფორმი).

## სამართალში — ჰოიზინგერი

მოსკოვი, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში პრეს-კონფერენცია გამართა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა და პრესის განყოფილების გამგემ მ. ა. ხარლამოვმა დამსწრეთ გააცნო საბჭოთა მთავრობის იმ ნოტის შინაარსი, რომელიც გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და რომელშიც მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებს გადაეცეს სამართალში მისაცემად სამხედრო დამნაშავე ადოლფ ჰოიზინგერი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების დამდგენი და გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრმა ვ. ს. გრიზოდუბოვამ წაიკითხა საგანგებო კომისიის ცნობა ჰოიზინგერის მძიმე დანაშაულობათა შესახებ მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

მ. ა. ხარლამოვმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. შემდეგ კორესპონდენტები გაეცნენ დოკუმენტებს, რომლებიც ჰოიზინგერის ბოროტმოქმედებას ახასიათებენ.

## ბრძოლები ალჟირში

პარიზი, 12 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრესის დამოწმებით, ალჟირში შეუპოვარი ბრძოლები ჩაღდება საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიას შორის. ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმმა განახორციელა ოპერაცია საფრანგეთის სამხედრო საგუშაგოს წინააღმდეგ ალჟირის დეპარტამენტის სამხრეთ ნაწილში. ამის შედეგად მოკლულია ათი ფრანგი ჯარისკაცი, ექვსი კი უკვალოდ დაიკარგა.

# მუშურნების უნივერსიტეტი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შავი ოქროს ქალაქის — ჭიათურის მშრომელებიც — სახახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ კომუნიზმის მშენებელთა დიად ყრილობას და, მისი გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, გაათკეცებული ენერგიით შრომობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

ქალაქის მრეწველობამ 1961 წლის 11 თვის გეგმა 104,5 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასეულ ათასი მანეთის პროდუქცია. ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქალაქის ერთ-ერთმა მსხვილმა საწარმომ — მარგანეცის ტრესტმა.

ტრესტის წარმატებით მუშაობას კი ხელი შეუწყო წარმოებაში მოწინავე პროგრესული მეთოდების დანერგვამ. 1961 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება შრომის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის, [illegible]

ტივით მაღაროებში და მშენებლობებზე რეგულარულად ეწყობა ტექნიკური ხასიათის თეორიული და ეკონომიური კონფერენციები. მარტო მიმდინარე წელს რვაჯერ მოეწყო ტექნიკური კონფერენცია, მათ შორის ორჯერ პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, ოთხჯერ — მსხვილ მაღაროებში და ორჯერ სამშენებლო ორგანიზაციებში.

როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე, ისე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში განვიხილავთ კონფერენციებზე მიღებულ შენიშვნებსა და წინადადებებს, [illegible]

ვამ მაღაროს 477 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მისცა, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების საქმეს სათავეში უდგას პარტიული კონტროლის კომისია, რომელსაც ვ. ციცვიძე ხელმძღვანელობს.

გაწეული მუშაობის შედეგად კალინინის სახელობის მაღაროში მიმდინარე წლის 10 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება 27 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მაღაროს კოლექტივი მტკი- [illegible]

# ტექნიკური პროგრესი — აი რა არის მთავარი

**შ. ბუხრაშვილი,**
საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

[illegible]

შრომას და ზრდის მისი შრომის ნაყოფიერებას. ამავე მაღაროში დაინერგა მარგანეცის დამტვირთავი მანქანა და მეხუთე უბნის ველში მუშაობას შეუდგა დიდი წარმადობის მქონე ექსკავატორი. მაღაროელი კომუნისტები ე. ლეჟავა, რ. ბრეგვაძე, ს. კვარაცხელია, ი. ბაირამაშვილი და სხვები მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან. მიმდინარე წელს მაღაროში სულ შეტანილია 60-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან დანერგილია 38. ამ წინადადებათა დანერგ- [illegible]

ლი ტიპის ვერტიკალური საბურღავი მანქანა, რის შედეგადაც გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

მნიშვნელოვან წინადადებათა ავტორები არიან ტრესტის მთავარი გეოლოგი ალ. გავაშელი, მთავარი გამამდიდრებელი შ. ახვლედიანი, მექანიკური სახელოსნოს ინჟინერი ი. კაპანაძე და სხვები.

მარგანეცის მრეწველობის შემდგო- [illegible]

არსებულ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარებში. საპროგრამო მასალებთან ერთად სწავლობენ აგრეთვე ახალი ტექნიკის გამოყენებისა და მექანიზმების მუშაობის საკითხებს, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა მუშათა ფართო მასების მიერ ტექნიკის ათვისებაზე.

პარტიული ორგანიზაციების ინიცია- [illegible]

## წარმატება ვახტზე

**გორი.** (საკ. კორ.). გორელი მეკონსერვეები ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მაგალითისამებრ წლის ბოლომდე აგრძელებენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს.

ქარხანაში თავდადებული შრომით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს სამურაბე საამქროს, რომელმაც ეკვსი დეკემბრისათვის წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 11.602 ათასი ქილა კონსერვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.530 ათასი ქილისა.

# სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მასებში!

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები [illegible], საფუძვლიანად სწავლობენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ახალ პროგრამასა და წესდებას. [illegible] მოქმედ აგიტპუნქტებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენები.

127 წრესა და პოლიტსკოლაში, 51 თეორიულ სემინარსა და 101 საკონსულტაციო ჯგუფში მიმდინარეობს ყრილობის მასალების შესწავლა. პოლიტიკური განათლების ყველა ფორმაში გაერთიანებული 5.885 კაცი ეუფლება ყრილობის მასალებს.

ყრილობის დელეგატები — პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი პ. სახეჩიძე და მეტალურგთა ბრიგადირი ლ. კობახიძე მშრომელებთან გამოდიან მოხსენებებითა და საუბრებით. ამხ. სახეჩიძემ ფეროშენადნობთა ქარხანაში, სოფლების სვირისა და კვალითის კოლმეურნეობებში წაიკითხა მოხსენებები ყრილობის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

**ახმეტა.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში — ყველგან დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XXII ყრილობის მასალებს. ლექციას „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა", რომელიც რაიკომის ლექტორმა ამხ. თ. ბაინდურაშვილმა წაიკითხა, ორასზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაესწრო.

ახმეტისა და ალვანის საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, მატნის, ქისტაურისა და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა მოისმინეს ლექციები: „პარტიის ახალი პროგრამა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმების შესახებ", „კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამა", „ომისა და მშვიდობის პრობლემა თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემაა" და სხვ.

**ტყიბული.** (საკ. კორ.). შახტებში, ახალმშენებლობებზე და კოლმეურნეობებში იკითხება ლექციები, მოხსენებები, იმართება საუბრები, რომლებიც ეძღვნება პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამ დღეებში რაიონის ცენტრს დაშორებულ სოფლებში გაემგზავრნენ აგიტბრიგადები და პოლიტიკური მომხსენებლები. პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკაში მოეწყო ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების გამოფენა. შახტებში ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხებს მიეძღვნა აგიტსემინარების მორიგი მეცადინეობა.

აგიტატორებმა არსებითად გააცხოველეს მუშაობა. ყრილობის მასალებს ბევრი საგიტაციო საუბარი მიუძღვნეს მოწინავე აგიტატორებმა პ. ნანიკაშვილმა, ი. ორჯონიკიძემ, დ. ფხალაძემ, უ. ახვლედიანმა, გ. ცირეკიძემ და სხვ.

საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის კარგად დაყენება ხელს უწყობს ტყიბულელებს პრაქტიკულ საქმიანობაში, აქ დღითიდღე ზრდიან ქვანახშირის ამოღებას.



**თბილისის** მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი საამქროს ახალგაზრდული ბრიგადა (ბრიგადირი ა. ფუხაშვილი), რომელიც სამამულო ომის გმირის თინა იოსებიძის სახელს ატარებს, კვლავ განაგრძობს შრომითს ვახტს და აღწევს უველაზე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. ჯიბლაშვილი, ნ. ქაჩლიშვილი, გ. სადაკაევა, კ. ლოგვანი, ნ. წიკლაური და მ. მჭედლიშვილი, რომლებიც გამომუშავების გადიდებულ ნორმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# მთელი საზოგადოების საქმე

**პ. ბერძენიშვილი,**
საქართველოს სსრ პროკურორი

**პარტიის** ახალი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ისტორიულმა ყრილობამ მიიღო, უმნიშვნელოვანესი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტია. იგი ამომწურავ პასუხს იძლევა თანამედროვეობის ძირეულ საკითხებზე, კონკრეტულად განსაზღვრავს იმ ზღუდეებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა უნდა აიღოს კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის გზაზე. პროგრამაში დამუშავებულია მეტად დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც იდეურად აიარაღებენ თეორიული ფრონტის მუშაკებს, განსაზღვრავენ მათი შემოქმედებითი მეცნიერული კვლევის მიზნებსა და ამოცანებს ახლო მომავლისათვის.

[illegible]

კერძოდ: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩაბნენ სახალხო რაზმეულები, საზოგადოებრივ კოლექტივებს ხელახალი აღზრდისათვის გადაეცათ შემთხვევით გზასაცდენილი არაერთი დამნაშავე პირი, ამაღლდა საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების როლი, ფართო გამოყენება ჰპოვა პირობითმა მსჯავრმა, მთელი ძალით ამოქმედდნენ ამხანაგური სასამართლოები და სხვ.

[illegible]

ველმხრივ გაძლიერდეს ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ. ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სასამართლო-პროკურატურის მუშაკები ძველ, არასწორ გზას დაადგნენ, კვლავ დაიწყეს ისეთი პირების ზედმეტად დასჯა, რომლებმაც ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე პ. ზირაქიშვილი) [illegible]

[illegible]

ჟოლ ადამიანს, რომელიც შრომითს გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს სასარგებლო საქმიანობას".

საზოგადოებრიობის როლის ამაღლება დამნაშავეობასთან ბრძოლაში როდი გულისხმობს დანაშაულებრივ მოვლენებთან ბრძოლის [illegible]

# შრომის სუფევა

## წერილების მიმოხილვა

**შუიდწლედის** მესამე სამეურნეო წელი იწურება. საკოლ- [illegible]

[illegible]

ხორცის მიყიდვის წლიური გეგმები. კოლმეურნეობაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებას. საერთო წარმატებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მათ შორის ცნობილი არიან [illegible]

[illegible]

და გამოსწორების გზას დაადგა, გახდა წარმოების მოწინავე, კეთილსინდისიერი შრომით შეძლო კოლექტივის წინაშე აღედგინა შებღალული ავტორიტეტი.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში, იმ მითითებათა განხორციელებისას, რომ ყო- [illegible]

**ნუნუ მუმლაძემ** 1957 წელს დაამთავრა ჭიათურის საშუალო სკოლა და ფეიქრის პროფესიის დასაუფლებლად სწავლა განაგრძო გორის ბამბეულის კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. ამჟამად იგი მუშაობს მრთველად, მომსახურებას უწევს სამ სართავ მანქანას და ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებს.

**სურათზე:** ოსტატის თანაშემწე ლ. ვართუმაშვილი ამოწმებს ნ. მუმლაძის ნამუშევარს.

ფოტო შ. კუკულავასი.



[illegible]

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამ დღეებში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა მიიღო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული მოსკოვში გ. მაზი. საბჭოთა მთავრობის დავალებით ნ. პ. ფირიუბინმა გაუკეთა მას განცხადებანი, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ალბანეთის მთავრობამ, რომელიც ახორციელებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შემდგომი გამწვავების კურსს, განსაკუთრებით სკკპ XXII ყრილობის შემდეგ, თავის ქვეყანაში გაშალა სსრ კავშირის მიმართ მტრული ცილისმწამებლური კამპანია. იგი წინასწარი განზრახვით ახორციელებს ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის ნორმალურ საქმიანობას ალბანეთში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს, აგრეთვე მხედველობაში მიიღო ალბანეთის მხარის ის თავხედური მტკიცება, რომ საბჭოთა დიპლომატები თითქოს საჭირონი აღარ არიან ტირანაში, და მიიღო გადაწყვეტილება გამოიწვიოს ალბანეთიდან სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ი. ვ. შიკინი, აგრეთვე საბჭოთა საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის მთელი პერსონალი.

საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როცა ალბანეთის მთავრობა შეგნებულად სულ უფრო ამწვავებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ანტისაბჭოთა საქმიანობის მიზნებით იყენებს თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობასაც სსრ კავშირში, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ნესტი ნასეს, აგრეთვე ალბანეთის საელჩოს პერსონალისა და სავაჭრო მრჩევლის შემდგომი ყოფნა მოსკოვში მოკლებულია რაიმე საფუძველს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ ალბანეთის მოსკოველმა ელჩმა და საელჩოს მთელმა პერსონალმა და სავაჭრო მრჩეველმა დატოვონ საბჭოთა კავშირის ტერიტორია. (საკდესი).

# მსოფლიოს მშრომელთა დიდი ასამბლეა

## პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი

**მეორე** კვირაა კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობს პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი — ხუთი კონტინენტის მუშათა კლასის დიადი ასამბლეა.

კონგრესის მონაწილენი ლუი საიანისა და იბრაჰიმ ზაჰარიას მოხსენებებს იხილავენ საქმიანად, ღრმად სწვდებიან საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ყველა საკითხს. კონგრესი მიმდინარეობს დიდი ერთსულოვნების, ძმური თანამშრომლობის ატმოსფეროში, ცდილობს წარმატებით გადაჭრას თავის წინაშე დასახული ყველა ამოცანა.

11 დეკემბრის დილის სხდომაზე პირველი გამოდის ისლანდიის პროფკავშირთა ჩრდილოეთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ჯონატოსენ ტორნსტეინი.** იგი აღნიშნავს, რომ ისლანდიაში სულ 180 ათასი მცხოვრებია. მაგრამ აქაც კი, მიწის ამ პატარა ნაკვეთზე, ამერიკის მხედრიონმა ბუდე გაიკეთა, შექმნა თავისი სამხედრო ბაზა. აქედან იგი ემუქრება ევროპის ხალხებს. ისლანდიის მშრომელნი ენერგიულად იბრძვიან ამ ბაზის ლიკვიდაციისათვის, აგრესიული ნატოს ბლოკიდან ისლანდიის გამოსვლისათვის, თავიანთი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ბრიტანეთის გვიანის პროფკავშირთა წარმომადგენელი **დევიდ ბენი** შეეხო „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ძირგამომთხრელ საქმიანობას. მისი ლიდერები, განაცხადა ბენმა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ მუშათა კლასის ერთობას, მის ერთობლივ ბრძოლას კაპიტალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ. მაგრამ, აცხადებს ორატორი, „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის გავლენა მუშათა მოძრაობაზე სუსტდება, მშრომელნი სულ უფრო მტკიცედ რაზმავენ თავიანთ რიგებს.

დიდი ყურადღებით მოისმინეს დელეგატებმა და სტუმრებმა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის **ბენუა ფრაშონის** სიტყვა, რომელმაც საფრანგეთის პროფკავშირთა სახელით მოიწონა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოქმედების პროგრამა, ლ. საიანისა და ი. ზაჰარიას მოხსენებანი.

ბ. ფრაშონმა აღნიშნა, რომ პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ამჟამად მშვიდობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით მან გამოთქვა რწმენა, რომ მშრომელთა ერთობლივ ღონისძიებებს მოჰყვება გერმანიის საკითხისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაჭრა მშვიდობის ინტერესებისათვის.

— ჩვენ ვიწონებთ, — თქვა შემდეგ ფრაშონმა, — ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მიიღო იმპერიალისტური აგრესიის გაძლიერების გამო.

ჩილის მშრომელნი მათხოვრულად ცხოვრობენ, მიუხედავად უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც აქვს ამ ქვეყანას, განაცხადა სოფლის მეურნეობის მუშათა ეროვნული ფედერაციის მდივანმა **სესარ სარდამ.** ყველგან გამეფებულია შიმშილი და უმუშევრობა. ეს უბედურება ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების ბატონობის შედეგია.

...გაისმის ფანფართა მოწოდების სიგნალები. დარბაზში შემოდის ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. ესენი არიან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებისა და სასწავლებლების აღზრდილნი, რომლებიც მოვიდნენ, რათა მიესალმონ კონგრესს.

კონგრესის ტრიბუნიდან გაისმის წკრიალა ხმები. მხურვალე სალამს უძღვნიან ისინი ჩინეთისა და უნგრეთის დელეგატებს, აფრიკისა და გმირი კუბის შვილებს, არაბებსა და ინდონეზიელებს, პოლონელებსა და იტალიელებს — ყველა კონტინენტის წარმომადგენლებს, ფიცად გაისმის აღთქმა: „საამაყო სახელი — მუშა მთელ სიცოცხლეში დროშად ვატაროთ!“

მქუხარე ტაში გაისმა, როცა ახალგაზრდა სტუმრებმა ყვავილები მიართვეს პრეზიდიუმის წევრებს და სამახსოვრო საჩუქარი მიუძღვნეს კონგრესს. დარბაზში გაისმის სიმღერა: „ყველა ქვეყნის ჭაბუკები რომ...“

თავმჯდომარე **ვისენდე ლომბარდო ტოლედანო** კონგრესის სახელით სიხარულს გამოთქვამს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობასთან შეხვედრის გამო. იგი აღნიშნავს, რომ ეს ქალიშვილები და ჭაბუკები იმ ღონისძიებათა საუკეთესო დადასტურებაა, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ახალი ადამიანის აღზრდისათვის.

**სვენ პედერსენი** — დანიის მეზღვაურთა პროფკავშირის წარმომადგენელი აღნიშნავს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და მის ამხანაგებზე — დელეგაციის წევრებზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ კონგრესზე. ეს დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის. ძალიან მოხარული ვართ, რომ მოვისმინეთ მშვიდობისათვის ესოდენ გამოჩენილი მებრძოლის სიტყვა.

კონგრესის სხდომებს ესწრება 97 ქვეყნის 958 დელეგატი, მეთვალყურე და სტუმარი. ისინი არიან 142 მილიონ 830 ათასი მშრომელის წარმომადგენელნი. ეს მშრომელები გაერთიანებული არიან ეროვნულ ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანიზაციებში, რომელთაგან ზოგი ემხრობა და ზოგიც არ ემხრობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას. ეს 36 მილიონი კაცით მეტია იმაზე, რაც წარმოდგენილი იყო IV კონგრესზე, და 53 მილიონი კაცით, მეტი იმაზე, რაც იყო III კონგრესზე.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ კონგრესის მუშაობისადმი და ამერიკის პროფკავშირთა ბევრი წევრი აპირებდა მონაწილეობის მიღებას კონგრესში. მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე მაკარენის რეაქციული კანონის გამო, რომელიც მძიმე რეპრესიებით ემუქრება ყველას, ვინც პროგრესულ შეხედულებებს იზიარებს.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, იუნესკოს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციისა და სხვათა წარმომადგენელნი.

სამანდატო კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი ცხადყოფს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ერთობასა და მუშათა კლასზე მისი გავლენის გაფართოებას.

ურუგვაის მშრომელთა პროფკავშირული ცენტრის წარმომადგენელი **ენრიკე პასტორინო** აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედების პროგრამის პროექტს, რომელსაც კონგრესი იხილავს. ამ ცენტრში შემავალ პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ეს დოკუმენტი ფასდაუდებელი წვლილია კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **სტოიან გიუროვი** თავისი დელეგაციის სახელით იწონებს ლ. საიანისა და ი. ზაჰარიას მოხსენებებს, აგრეთვე პოზიციას პროფკავშირული მოძრაობის ძირითად საკითხებზე, რომელიც ასახულია პროფკავშირთა მოქმედების პროგრამის პროექტში.

ორატორს შეაქვს წინადადება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პროგრამაში შეიტანონ სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ახალი პროგრამის ისტორიული მნიშვნელობის შეფასება, რომელიც მოცემულია ლ. საიანის მოხსენებაში, რადგან სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა **ს. ა. დანგემ.** მან მოაგონა დამსწრეთ საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის შეხვედრა მილიონობით ადამიანთან თავის ქვეყანაში. გაოცებითა და აღტაცებით იყო ავსე მათი გული, აცხადებს ინდოეთის დელეგატი. ეს ეკუთვნოდა არა მარტო გაგარინს, არამედ საბჭოთა კავშირს, რომელსაც აქვს ძლიერება, ძალა, მეცნიერული აზრი ამგვარი საგმირო საქმეების განსახორციელებლად.

ამით დამთავრდა 11 დეკემბრის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა დაიწყო კონგოს წარმომადგენლის გამოსვლით. ხალხის სახელით, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის, კონგრესს მიესალმება **ედუარდ ვალენტინ მუტომბო,** კონგოს (ლეოპოლდვილი) რესპუბლიკის პროფკავშირთა ეროვნული გაერთიანების გენერალური მდივანი.

ესპანელ დემოკრატთა გამარჯვება ახლოვდება, თქვა კონგრესის ტრიბუნიდან ესპანეთის ოპოზიციური პროფკავშირების წარმომადგენელმა **არტურო დელ ვალემ.** მისი მგზნებარე სიტყვა გაისმა როგორც მოწოდება — გააჩაღონ საერთო ბრძოლა ფაშისტური და კოლონიზატორული რეჟიმების წინააღმდეგ.

ძმური სალამი გადასცა კონგრესს იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **სვეტოზარ ვუკმანოვიჩ-ტემპომ,** რომელიც კონგრესს ესწრება როგორც მეთვალყურე.

სხდომის მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ რევოლუციური კუბის მშრომელთა პროფკავშირული ცენტრის წარმომადგენელს **ხესუს სოტო დიასს.** მიესალმა რა კონგრესს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის დელეგაცია განსაკუთრებით ღრმა კმაყოფილებას განიცდის, რომ თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენელია დღეს ამ კონგრესზე. პროფკავშირთა IV კონგრესს კუბელები არალეგალურად ესწრებოდნენ.

კუბის დელეგაციამ კონგრესს გადასცა თავისი რესპუბლიკის ეროვნული დროშა და ფიდელ კასტროს პორტრეტი მისი ავტოგრაფით. კუბელები მღერიან 26 ივლისის ჰიმნს.

ტრიბუნაზეა **ჯაკომბო ადუჩი** — გენერალური მდივანი მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საერთაშორისო გაერთიანებისა, რომელშიც შედის 10 მილიონი მშრომელი მეტალურგი. იგი ამბობს, რომ მეტალურგიულ მრეწველობასთან დაკავშირებული უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიები ემხრობიან გამალებულ შეიარაღებას და ახალი ომის მზადებას. ამიტომ მშრომელთა მოქმედების ერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მხოლოდ მას შეუძლია წინააღუდგეს მონოპოლიების მზარდ ძალას.

შემდეგ გამოვიდა ინდონეზიის მუშათა ცენტრალური ფედერაციის (სობრი) პრეზიდენტი **სლამეთ ჯოჯოხუმიტო.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის მშრომელებისათვის ერთიან პროფესიულ ცენტრში მუშათა გაერთიანებისა და მოქმედების ერთიანობის განმტკიცების საკითხს ყველაზე აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

11 დეკემბრის საღამოს სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის არგენტინის სამდივნოს წევრი **როზა იასოვიჩი.** თავისი სიტყვა მან მიუძღვნა ქალების მონაწილეობას პროფკავშირულ მოძრაობაში და მხარი დაუჭირა ინიციატივას — მოიწვიონ მშრომელ ქალთა მეორე კონგრესი მომავალ წელს.

12 დეკემბერს გრძელდებოდა ლუი საიანისა და იბრაჰიმ ზაჰარიას მოხსენებათა განხილვა, რომლებშიც დასმულია საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის აქტუალური საკითხები.

კონგრესის მონაწილენი ერთსულოვნად უჭერენ მხარს პროფკავშირთა მოქმედების პროგრამას, რომელიც შეტანილია კონგრესის განსახილველად, მოუწოდებენ მშრომელებს იბრძოლონ იმპერიალისტური ომების მზადების წინააღმდეგ, იბრძოლონ კაპიტალისტური მონოპოლიების, კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ პორტუგალიის დემოკრატიული პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელი **მანუელ ბრანკო,** ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციის აღმასკომის წევრი **მანუელ ტაბორდა,** იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე **ფერნანდო სანტი,** შვეციის მშენებელ მუშათა ფედერაციის წარმომადგენელი **ანდერსენი** და სხვები.

## მონღოლეთი ეგებება გ. ტიტოვს

**ულან-ბატორი,** 11 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. პეტრენკო იუწყება: დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა სახელგანთქმული საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი. ულან-ბატორის აეროდრომზე, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ალმებით, კოსმონავტების ი. ა. გაგარინისა და გ. ს. ტიტოვის პორტრეტებით, ფერადი პლაკატებითა და ტრანსპარანტებით, ძვირფას სტუმარს შეხვდნენ პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მოლომჟამცი მიესალმა საბჭოთა კოსმონავტს და თქვა, რომ ტიტოვის კოსმოსურმა გაფრენამ დედამიწის გარშემო კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს ახალი, სოციალისტური წყობილების მძლავრი და უძლეველი ძალა და უპირატესობა დრომოჭმული კაპიტალიზმის წინაშე.

გ. ს. ტიტოვმა აეროდრომზე თავის გამოსვლაში გულითადი მადლობა გადაუხადა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, მთელ მონღოლ ხალხს გულთბილი შეხვედრისათვის და იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა სწვეოდა მოძმე მონღოლეთს. მან საბჭოთა კოსმონავტების მხურვალე სალამი გადასცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს.

ულან-ბატორში ჩასვლის შემდეგ მალე კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი ეწვია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის მთავრობის ხელმძღვანელებს. საუბარი, რომელზეც იყვნენ სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ი. ხვოროსტუხინი, უცხოელი და მონღოლი ჟურნალისტები, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

...„აჩრდილი დადის ევროპაში: აჩრდილი კომუნიზმისა“...

(კომუნისტური მანიფესტი).




ასი წლის შემდეგ

— რომელი ჩვენგანია ახლა აჩრდილი?!..

ნახატი კ. ელისეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# პოლიტიკა, რომელიც ხალხთა ინტერესებს შეესაბამება

**ვარშავა.** პოლონეთის პრესა კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესის დელეგატების წინაშე და ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ ხასიათს, დაუცხრომელ მისწრაფებას მიაღწიოს მტკიცე მშვიდობას დედამიწაზე, რასაც იჩენს პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის სერიოზულ და მტკიცე გაფრთხილებას დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური წრეების მიმართ, რომლებიც განაგრძობენ აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას.

საბჭოთა პრემიერის გამოსვლა, აღნიშნავს „ტოლნეჟ ვოლნოსტი“, ერთხელ კიდევ აფრთხილებს ატლანტიკის მესვეურებს, რომ მათი რეცეპტები გამოცნობილია და მათი ღონისძიებანი ამაოა.

საბჭოთა კავშირის პრემიერმა, აღნიშნავს „გლოს პრაცი“, დამაჯერებლად წარმოადგინა და დაასაბუთა საბჭოთა პოლიტიკის მშვიდობიანი ხასიათი. ეს არის პოლიტიკა, რომელიც თავისი მისწრაფებით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის შეესაბამება ყველა ხალხის, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებს. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლას მხურვალედ შეხვდნენ პროფკავშირთა წევრები — კომუნისტები და არაკომუნისტები.

სოციალისტური გაერთიანების ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, ხალხთა მძლავრი ანტიკოლონიური ბრძოლა, აგრეთვე მშრომელი მასების ერთსულოვანი გამოსვლები — აი სამი ფაქტორი, რომელთა გაერთიანებულმა მოქმედებამ შეიძლება უზრუნველყოს მსოფლიოსათვის მტკიცე მშვიდობა, წერს გაზეთი.

**თეირანი.** თეირანის პრესის ცენტრალური თემაა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესზე.

გაზეთები აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწვრილებით ამონაწერებს. გაზეთი „ქეიჰან ინტერნეიშნლი“ გამოჰყოფს სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენს არა რადიოაქტიური ნალექები, არამედ ატომური იარაღის გამოყენება აგრესიული მიზნით. დასავლეთის მიერ ატომური იარაღის გამოცდის განგრძობა, აცხადებს გაზეთი, უფლებას აძლევს საბჭოთა კავშირს განაახლოს ამ იარაღის გამოცდა მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

**ათენი.** გაზეთი „ავგი“ ბეჭდავს პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწვრილებით შინაარსს და წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის ერთგულებას მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისადმი, სრული და საყოველთაო განიარაღების, ომის თავიდან აცილების პოლიტიკისადმი. მთელი მსოფლიოს მშრომელებს, აღნიშნავს „ავგი“, გადაედოთ ის ოპტიმიზმი, რომელიც გამოხატულია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში, მისი რწმენა, რომ მსოფლიოს ძალებს და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს აქვთ საკმაო ძლიერება მშვიდობის განსამტკიცებლად და თერმოატომური ომის თავიდან ასაცილებლად. ეს აღაფრთოვანებს მშვიდობის მომხრეებს მთელ მსოფლიოში, ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ბერძენ ხალხში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, ღრმად გამოხმაურებას პოულობს ხრუშჩოვის მოწოდება, რომ გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რადგან ბერძენ ხალხს, რომელიც მძიმე ბრძოლას აწარმოებს დემოკრატიისათვის, ესმის მშვიდობისათვის ბრძოლის საჭიროება. (საკდესი).

## ნერუს გამოსვლა

**დელი,** 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოში გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელიც მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. მან მკვეთრად დაგმო პორტუგალიელ კოლონიზატორთა მოქმედება ანგოლაში. შეეხო რა მდგომარეობას გოაში, სადაც ამ ბოლო დროს გააქტიურეს მოქმედება პატრიოტულმა ძალებმა, ნერუმ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ძალის გამოყენება პორტუგალიის ამ კოლონიის გასაერთიანებლად ინდოეთთან. ამასთან მან გაიმეორა, რომ ინდოეთი მხარს უჭერს გოას პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პორტუგალიელი კოლონიზატორები ტერორს უქმნიან გოას და სასაზღვრო რაიონების მოსახლეობას, რომლებიც ინდოეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. მან დაგმო პორტუგალიის ჯარების პროვოკაციები ინდოეთის საზღვარზე.

# ამერიკაში ატომური აფეთქების გამო

**ნიუ-იორკი,** 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ატომური აფეთქების შედეგად რადიოაქტიური ღრუბელი მოძრაობს ქალაქ კარლსბადის მიმართულებით, რომელიც დაახლოებით 24 მილზე მდებარეობს აფეთქების ადგილიდან.

ატომური ენერგიის კომისიის ხელმძღვანელებმა გასცეს განკარგულება გადაკეტონ ავტომაგისტრალები, რომლებიც ატომურ პოლიგონს აკავშირებენ ქალაქთან. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, კარლსბადში მოსული შეიდი ავტომობილი ძლიერ დასნებოვნებული აღმოჩნდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ქარი ღრუბელს ერეკება პოლიგონის ჩრდილოეთით. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება აგრეთვე, რომ თავისთავად აფეთქდა ტრინიტროტოლუოლის მძლავრი მუხტი, რომელიც ორ მილზე მდებარეობდა გამოსაცდელი შახტიდან. აფეთქება მოხდა ატომური იარაღის გამოცდისაგან წარმოშობილი დეტონაციის შედეგად.

ქვეყნებში

## იანკები და მართლმსაჯულება

**კოლომბოში** აღმაშფოთებელი შემთხვევა მოხდა. ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა სერჟანტმა მეინარდმა, რომელიც ვისკით გალეშილი საჭესთან იჯდა, მანქანა მოტოციკლს დაახალა და ერთი კაცი იმსხვერპლა.

ამ ამბვის მოწმემ, კოლომბოს მერის მოადგილემ კურეიმ, რომელმაც დააკავა მეინარდი, განაცხადა, რომ დამნაშავემ დაჯახების შემდეგ არათუ არ გააჩერა მანქანა, რომ დაზარალებულს მიშველებოდა, არამედ ავაზაკურად გაიქცა.

სერჟანტი მეინარდი, რომელმაც დიპლომატიური ხელშეუხებლობა მოიმიზეზა, ამ საქმის გამო დაწყებულ გამოძიებასაც კი არ დაესწრო.

ცეილონზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მკვლელის დამცველის როლში გამოვიდა და განაცხადა: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამერიკელი სერჟანტი მეინარდი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობს“.

ცეილონზე ამერიკელთა თავგასულობის ეს მაგალითი გამონაკლისი როდია.

## ჩვევები გამოადგა...

**ცნობილი** მსოფლიო ჩემპიონი კრივში ენრი არმსტრონგი, რომელმაც დაამთავრა სპორტული კარიერა, დეტროიტში ერთ-ერთი პროტესტანტული სექტის მქადაგებელი გახდა. პირველივე ქადაგების დროს მან ვერ მოითმინა და ძლიერი დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო ხულიგანი, რომელიც შეეცადა ობსტრუქცია მოეწყო „ახალგამომცხვარი“ მქადაგებლისათვის.

# უთანხმოებათა ვითარებაში

**პარიზი,** 11 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იუწყება: დაწყებული კვირა პარიზში სავსეა დასავლეთის სახელმწიფოთა ინტენსიური დიპლომატიური საქმიანობით. როგორც კი დამთავრდა მოლაპარაკება საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლსა და დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერს შორის, საფრანგეთის დედაქალაქში ჩამოვიდნენ ნატოს წევრი ქვეყნების მრავალი მინისტრი, დიპლომატები და ექსპერტები.

დასავლეთის სამი, შემდეგ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის ასამბლეის მორიგი სესია, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს ყოველწლიური სესია, „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება — ასეთია მომავალი დიპლომატიური კვირის ამბები პარიზში.

„ატლანტიკის პარტნიორების“ მეტი წილი ამ თათბირებისა და მოლაპარაკების მთავარი თემა გერმანიის პრობლემა და დასავლეთ ბერლინის საკითხი. იგივე თემაა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში, რომელიც დღეს ნაშუადღევს დაიწყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პარიზის პრესის მიმომხილველთა საერთო აზრით, დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები იმისათვის შეიკრიბნენ, რომ სცადონ ნატოს საბჭოს სესიის წინ შეიმუშაონ დასავლეთის საერთო პოზიცია გერმანიის პრობლემაზე და დასავლეთ ბერლინის საკითხზე მოლაპარაკების თვით პრინციპის შესახებ.

აღნიშნავს რა უთანხმოებას დასავლეთის სახელმწიფოებს შორის დიდი ხანია მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების შესახებ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საკითხზე, ეს მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ საფრანგეთის პრეზიდენტის პოზიციას ამ საკითხში, რომელიც ყველაზე შეურიგებელია.

„ოთხთა“ თათბირს დღეს წინ უძღოდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლებმაც უმთავრესად განიხილეს მდგომარეობა კონგოში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კერძოდ ლაოსსა და სამხრეთ ვიეტნამში. როგორც აქ აღნიშნავენ, ამ საკითხებზე დასავლეთელ პარტნიორებს შორის ფრიად არსებითი უთანხმოებაა შეხედულებებში.

დღესვე პარიზში დაიწყო დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის ასამბლეის მეშვიდე სესია, რომელიც აერთიანებს ინგლისს, საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას, იტალიას, ბელგიას, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგს. ამ სესიის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის გენერალურმა მდივანმა სტიკერმა. მისი სიტყვა გამსჭვალული იყო ზრუნვით ნატოს წევრ ქვეყნებში გამალებული შეიარაღების გაძლიერებისათვის. „თუმცა ამ დარგში, — განაცხადა მან, — დიდი ღონისძიებები განხორციელდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის“. სტიკერმა სცადა საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ არ არის შეთანხმება განიარაღების შესახებ, აგრეთვე ეგრეთწოდებული „ბერლინის კრიზისის“ გამო, რაც გამოწვეულია იმით, რომ ნატოს პარტნიორებს არა სურთ დადონ, ბოლოს და ბოლოს, გერმანიის საზავო ხელშეკრულება და მოაწესრიგონ ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხი.

საერთაშორისო ცხოვრება

## ვპასუხობთ შეკითხვებზე

# რა არის მაკარენის კანონი

**უკვე** რამდენიმე დღეა პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებით ადევნებს თვალყურს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გასამართლების ინსცენირებისათვის მზადებას.

1 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მითითებით დიდმა ფედერალურმა ჟიურიმ გამოიტანა საბრალმდებლო დასკვნა კომპარტიის წინააღმდეგ იმისათვის, რომ მან უარი თქვა გატარებულიყო რეგისტრაციაში მაკარენის კანონის საფუძველზე.

რა არის მაკარენის კანონი?

მაკარენ-ვუდის კანონი ანდა, როგორც მას უწოდებენ, „საშინაო უშიშროების კანონი“, მიღებულ იქნა 1950 წლის 23 სექტემბერს. მისი ავტორები არიან სენატორი მაკარენი და წარმომადგენელთა პალატის წევრი ვუდი.

ამ კანონის მიხედვით კომუნისტური პარტია და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც „ძირგამომთხრელთა“ სიაში შედიან, ვალდებული არიან გატარდნენ რეგისტრაციაში. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს რეგისტრაცია რაიმე ფორმალური აქტი იყოს. რა თქმა უნდა, არა. იგი კომუნისტური პარტიისაგან მოითხოვს დეტალურ მონაცემებს პარტიის წევრთა რიცხვის, აქტივისტების, არჩევითი ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ. ამასთან პარტიამ იუსტიციის სამინისტროს რეგულარულად უნდა მიაწოდოს ანგარიშები თავისი საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. კანონი კრძალავს კომუნისტური და სხვა პროგრესული ლიტერატურის გავრცელებას. კანონის ერთ-ერთი მუხლის ძალით კომუნისტური პარტიის წევრობა შეიძლება გამოცხადდეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად, რაც ითვალისწინებს ათ წლამდე პატიმრობას.

ამ რეაქციული კანონის შესრულებაზე უარისთქმა, არასწორი ცნობების მიწოდება ისჯება ამავე კანონით, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 5 წლით ან 10 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდევინებას.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მაკარენის კანონი კრძალავს კომუნისტების და სხვა პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შესვლას ამერიკაში. ამასთან იგი იძლევა იმის უფლებას, რომ დაუყოვნებლივ გაასახლონ ყოველი უცხოელი, თუნდაც მას ათი წელი ეცხოვროს ამერიკაში, თუ იგი მიჩნეულია „საეჭვო“ პიროვნებად.

ცხადია, ეს კანონი პირველ რიგში მიმართულია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მისი სისრულეში მოყვანა ფაქტიურად კანონგარეშე აცხადებს კომუნისტურ პარტიას, მის საქმიანობას უმორჩილებს მკაცრ პოლიციურ კონტროლს.

1950 წელს თვითონ ტრუმენმა უარყო ეს კანონი როგორც „ყველაზე დიდი საშიშროება სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლებისათვის“. ამჟღრად ამერიკის ხელისუფლებმა ისტორიის სანაგვიდან ამოათრიეს ეს კანონი. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი, ახლანდელი პრეზიდენტის ღვიძლი ძმა, დაჟინებით მოითხოვენ ამერიკელი კომუნისტებისგან რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი პარტია და თვითონაც გატარდნენ რეგისტრაციაში, როგორც „უცხოეთის სახელმწიფოს აგენტები“. ცნობილია, რომ რეგისტრაციის უკანასკნელი ვადა იყო 30 ნოემბერი. მაგრამ ამერიკის კომპარტიამ საქვეყნოდ უარი თქვა რეგისტრაციაში გატარებაზე. ამან გააცოფა „თავისუფალი სამყაროს“ ხელისუფალნი. მთელი ძალით ამუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო მანქანა.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გმობს ამერიკის ხელისუფალთა მიერ მაკარენის ყბადაღებული კანონის გამოყენებას. მიაჩნია იგი ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის პირდაპირ გაგრძელებად.

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა კონგრესზე მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

**სამხრეთი კორეა.** ამერიკელი იმპერიალისტების და მათი დამქაშების თექვსმეტი წლის ბატონობისა და ეგრეთწოდებული ამერიკული „დახმარების“ შედეგად სამხრეთ კორეის მრეწველობა გაკოტრების პირას არის. სოფლის მეურნეობა დაცემულია. ექვს მილიონზე მეტი მშრომელი, რომლებიც სამხრეთ კორეის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ქრონიკულ უმუშევრობასა და ნახევრადუმუშევრობას განიცდის.

**სურათზე:** უმუშევრები სეულში.

ფოტო ჯაპან პრესის სააგენტოსი.



# ამბები, ცნობები, ფაქტები

## თბილისში იმღერებს ასენ სელიმსკი

სოფიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ასენ სელიმსკი დაიბადა 1930 წელს. 1956 წელს წარმატებით დაამთავრა ბულგარეთის სახელმწიფო კონსერვატორია.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ოთხ წელიწადს მღეროდა რუსენის ოპერის სცენაზე.

1959 წელს ვენაში ახალგაზრდობის VII მსოფლიო ფესტივალის ვოკალისტთა კონკურსზე ასენ სელიმსკის მიეკუთვნა პირველი პრემია და ოქროს მედალი. იმავე წელს ბულგარელ მსახიობთა ჯგუფთან ერთად იგი დიდი წარმატებით გამოვიდა გასტროლებზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1960 წლიდან ასენ სელიმსკი სოფიის სახელმწიფო ოპერის სოლისტია. სცენაზე თავისი მუშაობის განმავლობაში სელიმსკიმ შექმნა არაერთი სხვადასხვა საოპერო პარტია. იგი დიდი წარმატებით ასრულებს როგორც ლირიკულ, ისე დრამატულ პარტიებს.

ხმის სწორად დაყენების გამო მომღერლის ხმა აბსოლუტურად თავისუფლად და დამაჯერებლად ჟღერს მაღალ რეგისტრში, რაც ესოდენ საჭიროა ფიგაროს ვირტუოზული პარტიისათვის. სელიმსკი უეჭველად ნიჭიერი საოპერო მსახიობია...“

„მისი ფიგარო არა მარტო მხიარული ახალგაზრდაა, რომელიც ალმავივას ეხმარება მის სატრფიალო თავგადასავალში. სელიმსკი გვიჩვენებს ხალხიდან გამოსული ამ გმირის გონებამახვილობას, პრაქტიციზმს, სიმარჯვესა და ოპტიმიზმს“, — აღნიშნავს მეორე ბულგარული გაზეთი „სახალხო ახალგაზრდობა“.

ა. სელიმსკი დეკემბრის მეორე ნახევარში გამოვა ოპერა „სევილიელ დალაქში“ ფიგაროს პარტიაში, შემდეგ — ოპერა „ტრუბადურში“ შეასრულებს დი-ლუნას პარტიას, ხოლო 23 დეკემბერს ოპერა „ტრავიატაში“ იმღერებს ჟერმონის პარტიას.

ბულგარული მუსიკალური კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევს ა. სელიმსკის ოსტატობას, აღნიშნავს ახალგაზრდა მსახიობის ბრწყინვალე ვოკალურ მონაცემებს და აქტიორულ ნიჭს.

გაზეთი „სახალხო კულტურა“ (1960 წ. № 15) აღნიშნავს: „სელიმსკის ბრწყინვალე, მოქნილი და ამავე დროს სრულხმოვანი ლირიკულ-დრამატული ბარიტონი აქვს.



სურათზე: ა. სელიმსკი.

## ქართული ხელოვნების საუნჯენი

მრავალსაუკუნოვანი და შინაარსობრივად მდიდარი კულტურა და ხელოვნება აქვს ქართველ ხალხს. კულტურის არაერთი და ორი ძეგლია შემონახული პალეოლითის, ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანიდან. ჩვენი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი არქიტექტურული ძეგლები, როგორიც არის ბოლნისის, მცხეთის ჯვრის, წრომის, ბაგრატის, სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრები, მონუმენტური ფერწერის ისეთი ნიმუშები, როგორიც არის ატენის ტაძრის მოხატულობა, გელათის ტაძრის მოზაიკა და სხვანი.

ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე მუშაობს ბევრი ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერი. მათ შორის ფასდაუდებელია პროფესორ შალვა ამირანაშვილის მოღვაწეობა. ქართული ხელოვნების საკითხებზე ამ მეცნიერის ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგს წარმოადგენს მისი კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“. შრომაში დაყენებული, დამუშავებული და ახლებურად გაშუქებულია ქართული ხელოვნების ბევრი პრობლემური საკითხი.

„ქართული ხელოვნების ისტორია“ ათი თავისაგან შედგება. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოს და ამიერკავკასიის არქაული და მონათმფლობელური ხანის ხელოვნება არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქართული ქრისტიანული ხელოვნების წარმოშობა და განვითარება, ძველი ქართული ხელოვნება მონღოლთა ბატონობის ხანაში, ქართული ხელოვნება საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაშლისა და თურქეთის და ირანის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხანაში და სხვები.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტოსურათებით. 57 ილუსტრაცია უშუალოდ არის ჩართული ტექსტში, 286 ილუსტრაცია-ტაბულა კი შეადგენს ნაშრომის მეორე ნაწილს. წიგნს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია. ეს არის სტატიები, მონოგრაფიული გამოკვლევები, წიგნები. მათი რაოდენობა 350-ზე მეტია.

წიგნის რედაქტორია პ. ინგოროყვა, მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ლ. წილოსანს.

## ხელოვნების ქრონიკა

### ხულოს სახალხო თეატრში

ხ უ ლ ო. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა მიმდინარე წლის სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა რ. ერისთავის ორმოქმედებიანი კომედია: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. სპექტაკლის დადგმა განახორციელა აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ზოიძემ, მხატვრულად გააფორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მ. ბოლქვაძეს.

### ლექცია-კონცერტი ხაშურში

ა მ დღეებში ხაშურის რკინიგზის კულტურის სასახლეში გაიმართა ლექცია-კონცერტი თემაზე „რა არის ოპერა“. ლექცია-კონცერტში მონაწილეობდნენ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი ა. ბეგიჯანოვი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ნაკაშიძე, თ. ბახტაძე, ვ. კეკელია, მსახიობები ბ. დიდებულიძე, ნ. ურუშაძე.

დ. ფარემუზოვი.

## სპორტი

## მესამე გამარჯვება ეკვადორში

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი წარმატებით განაგრძობს ტურნეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. დღემდე დინამოელებმა კუბაში, ბოლივიასა და ეკვადორში 8 მატჩი გამართეს და არც ერთი არ წააგიათ. მათ მხოლოდ ერთი თამაში დაამთავრეს ფრედ.

უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი ეკვადორში თბილისელებს ჰქონდათ ამ ქვეყნის დედაქალაქის — კიტოს ნაკრებთან. „ოლიმპიკოს“ სტადიონი, რომელიც 40 ათას მაყურებელს იტევს მატჩზე დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოშოლავა, ხელაძე, გ. სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

თბილისელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს და ზედიზედ მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე. მასპინძლები ზუსტად თამაშობდნენ დაცვაში და ახერხებდნენ კრიტიკული მომენტებისაგან თავის დაღწევას. განსაკუთრებით კარგად იბრძოდა მეკარე არსე ვასკესი.

მიუხედავად ამისა კიტოს ნაკრების კარი მაინც აღებულ იქნა. ეს მოხდა ბრძოლის მე-19 წუთზე. გოლის ავტორი იყო გუნდის კაპიტანი შოთა იამანიძე. ტაიმის ბოლომდე ტემპიანი ბრძოლა არ შენელებულა, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის შეცვლა.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლები უფრო შეწყობილად და ოსტატურად თამაშობდნენ. ამას მალე მოჰყვა თავდამსხმელების რამალიოს, გერეროსა და სანჩესის კომბინაცია და საპასუხო გოლი.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად სტუმართა მხარეზე გადავიდა. ჯერ 36-ე წუთზე მეორე ბურთი აღმოჩნდა კიტოს ნაკრების კარში, ხოლო შემდეგ კალოევმა მესამე ბურთი გაიტანა.

საინტერესო მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

თბილისის დინამოელები მაყურებლებმა ერთსულოვანი ტაშით გააცილეს. ადგილობრივი გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ დინამოელთა სამივე მატჩს ეკვადორში. მიმომხილველები აღიარებენ, რომ ეს არის ექსტრა კლასის გუნდი, რომლის მზგავსი მათ დიდი ხანია არ უნახავთ.

## თანამემამულეთა საბრძოლო ფურცლები

# გმირობა იტალიის მთებში





დღე ისე არ გავა, რომ მისამართით „რუსთავი, ახალგაზრდა სპეციალისტების ქუჩა, სახლი 2, ბინა 3, ნ. გ. კუბლაშვილს“ წერილი არ მოვიდეს.

ვინ არიან ამ წერილების ავტორები? — იკითხავს მკითხველი. ესენი არიან: იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს თანამშრომელი ა. ლუკარელი, ონლი ი. სულაძე, კოლმეურნე დ. მეტრეველი, ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის საზღვარგარეთის განყოფილების თანამშრომელი ი. კულიკოვი, თვით რუსთავში მცხოვრები გ. ბექაური, გ. ნასარიძე, გ. მათიაშვილი, გ. ნადიაშვილი, იტალიის გარიბალდის სახელობის მეორე დივიზიის მეთაური როლანდო ჯორჯი, ოჰამჩირელი პენსიონერი ს. ჩხეირკია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჭეიშვილი და მრავალი სხვა.

თავისი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით წერილები სხვადასხვაგვარია. ერთი ჯგუფი წერილებისა შეეხება ეპიზოდებს, რომლებიც თავს გადახდათ იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ პარტიზანებს იტალიის პარტიზანული დივიზიის მეთაურის მოადგილის ნოე გიორგის-ძე კუბლაშვილის ხელმძღვანელობით. ამ წერილების ავტორები ძირითადად თვით ამ ბრძოლების მონაწილენი არიან.

მეორე კატეგორიის წერილების ავტორები დაბეჯითებით სთხოვენ პარტიზანული მოძრაობის ვეტერანს დააგროვოს მასალები და დოკუმენტები სპეციალური წიგნებისა და ბროშურებისათვის.

მესამენი ისინი არიან, ვინც გაზეთებისა და ჟურნალების საშუალებით გაეცნენ იტალიის ქართველ პარტიზანებს და ეროვნული სიამაყის გრძნობითა და მადლობით იხსენიებენ ქართველთა კეთილშობილურ შემართებასა და თავგანწირვას სხვა ხალხების მიწა-წყალზე.

აი ჩვენს ხელთ არის იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს თანამშრომლის ალექსანდრე ლუკარელის მეტად საინტერესო წერილი:

„ამხანაგმა პალმირო ტოლიატიმ, — წერს იგი ნ. კუბლაშვილს, — მიიღო თქვენი წერილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ ვესაუბრეთ ამხანაგ მოსკატელის, რომელიც გარიბალდის სახელობის პარტიზანულ ბრიგადას მეთაურობდა.

ამხანაგ მოსკატელის ახსოვს 150 კაცისაგან შემდგარი ქართველთა ბატალიონი, რომლის მებრძოლთა შორის ერთ-ერთს, კერძოდ ნ. კუბლაშვილს, „გოლიას“ ეძახდნენ.

ამხანაგი მოსკატელი ადასტურებს, რომ ყველა ქართველი მებრძოლი იყო მამაცი და შეუდრეკელი. იტალიელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ დიდ ღვაწლს, რაც თქვენ, ქართველმა პარტიზანებმა, გერმანელებისაგან იტალიის განთავისუფლებაში შეიტანეთ“.

იპოლიტე ალექსანდრეს-ძე სულაძე. იცნობს ასეთ კაცს იტალიის პარტიზანული მოძრაობის ისტორია. იპოლიტე სულაძეს იცნობენ ონშიც, სადაც იგი ამჟამად საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლის.

და აი იპოლიტესაგან კუბლაშვილის სახელზე მოვიდა წერილი. ავტორი დეტალურად ახსენებს მეგობარს იტალიაში გატარებულ ძნელ დღეებს, ომის ეპიზოდებს.

1943 წელი, 12 ოქტომბერი. იპოლიტე სულაძე იტალიაშია, როგორც სამხედრო ტყვე. ქართველ ვაჟკაცს ბოღმა უღრღნის გულს, როდემდე უნდა იტანჯოს გერმანელების ტყვეობაში. და როგორც მრავალი სხვა ტყვე, ისიც ახერხებს გაქცევას ფაშისტების კლანჭებისაგან...

არც იტალიის პარტიზანებს ჰქონდათ დალხინებული ცხოვრება. მაგრამ შედარება არ არის. იპოლიტე აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. ერთი მაინც იცის, იტალიელი პარტიზანების მხარეზე იბრძვის.

„ჩემი პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი, — იგონებს იტალიის ქართველი პატრიოტი, — იყო მამაცი იტალიელი კაპიტანი ბელანდი“. აქვე იპოლიტე სულაძე ნ. კუბლაშვილს უგზავნის იტალიის IV პარტიზანული დივიზიის ხელმძღვანელებისაგან გაცემულ ცნობას მის მიერ პარტიზანულ ბრძოლებში მონაწილეობის შესახებ და სთხოვს წარუდგინოს იგი ომის ვეტერანების სამხედრო საბჭოს, რადგანაც ეს უკანასკნელი ამ საბუთს დიდი ინტერესით ელოდება.

ღრმა პატრიოტული სულისკვეთებითა და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით არის გამსჭვალული წერილი, რომელიც იტალიის ერთ-ერთმა გმირმა ს. ჩხეირკიამ გაუგზავნა ნ. კუბლაშვილს ამ დღეებში. ეს ის ს. ჩხეირკიაა, მამაცურად რომ იბრძოდა იტალიის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის და ერთ-ერთ მძიმე მომენტში მტერს შესძახა, მოკვდები, მაგრამ ერთხელაც არ დავიკენესებო. სახიფათო მომენტისათვის ს. ჩხეირკიას შემთხვევით დაუღწევია თავი და დღეს იგი, როგორც ვხედავთ, თავის საყვარელ ქალაქ ოჩამჩირეში ცხოვრობს, აქვე ეწევა სასარგებლო საქმიანობას.

აი როგორ იწყება ს. ჩხეირკიას წერილი მეგობრისადმი:

ძვირფასო მეგობარო ნოე ანუ „გრანდე გოლია“ („დიდო გოლია“) იცოცხლე და იბედნიერე...

ამა წლის 23 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხე წერილი „პალმირო ტოლიატი სწერს ნ. კუბლაშვილს“. ამხანაგო ნოე, ჯერ თქვენმა ფოტოსურათმა, ხოლო შემდეგ წერილში მოთხრობილმა ამბებმა თვალწინ დამიყენეს იტალიაში გატარებული დღეები, მრავალი ტანჯვა და წამება, ვპირული ბრძოლები იტალიის მთებში“. გერმანელ ფაშისტებზე ჯავრის ამოყრა...

ნ. კუბლაშვილის პარტიზანული მოძრაობის ფონტიდან ყურადღებას იპყრობს დავით თევდორეს-ძე მეტრეველის წერილი, მისი ავტობიოგრაფია და მრავალი სხვა საინტერესო დოკუმენტი.

აი პირველი დოკუმენტი — იტალიის კომუნისტური პარტიის ბილეთი დ. მეტრეველის ფოტოსურათით.

მეორე — დახასიათება, რომელსაც ხელს აწერს იტალიის კომუნისტური პარტიის პიაჩენცის რაიკომის მდივანი. მასში ვკითხულობთ: „ეძლევა ეს დახასიათება პატრიოტს, ესკადრილიის მეთაურს დ. თ. მეტრეველს იმის დასადასტურებლად, რომ პიაჩენცის ზონაში ყოფნის დროს ის ეწეოდა აქტიურ მუშაობას გერმანელი ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის. იგი იქცეოდა როგორც საბჭოთა კავშირის ნამდვილი მოქალაქე. ეწეოდა შეუნელებელ პროპაგანდას საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ.

მუშაობდა რა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, ის თავისი ყოფაქცევით მტკიცედ იცავდა საბჭოთა მოქალაქის პრესტიჟს“...

და კიდევ ერთი წერილი, რომელიც მიღებულია მოსკოვიდან. მისი ავტორია ივანე ნიკოლოზის-ძე კულიკოვი — ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის საზღვარგარეთის განყოფილების თანამშრომელი.

...„მე ბევრს ვფიქრობ თქვენი პარტიზანული რაზმის ისტორიაზე, ვცდილობ ხელი ჩავიგდო ყველა დეტალს, მივიღო პასუხი ყველა კითხვაზე: „რატომ“, „როდის“, „როგორ“, „რისთვის“ და ასე შემდეგ. დაბეჯითებით გთხოვთ მიპასუხოთ რამდენიმე დამატებით კითხვაზე, რაც დამეხმარება მთლიანად გამოვარკვიო საქმის ვითარება.

დიდი სამამულო ომის დროს იტალიის პარტიზანულ მოძრაობაზე და ამ მოძრაობაში ქართველი პარტიზანების როლზე იტალიაში გამოცემულია უნიკალური წიგნი. მისი ერთი ეგზემპლარი ამას წინათ გამოეგზავნა ნ. კუბლაშვილს, როგორც იტალიაში ქართველ პარტიზანთა მეთაურს. ამავე თემაზე წიგნი საქართველოშიც გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ჭეიშვილმა. ამჟამად სქელტანიან წიგნს გამოსაცემად ამზადებს ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტი. ამიტომ არის, რომ ამ კომიტეტის თანამშრომელი ასე დაბეჯითებით სთხოვს მასალებს ნ. კუბლაშვილს.

ნ. კუბლაშვილი ყურადღებით ეკიდება ყველა წერილს, რომელიც მიღებულია მის სახელზე. უპასუხოდ არ ტოვებს არც ერთ მათგანს.

ჩვენ ვესაუბრეთ ნ. კუბლაშვილს. ცხადია, აქ ერთი დღე ან თუნდაც ერთი კვირა როდი კმარა, რომ დეტალურად გაეცნო ქართველი პარტიზანების ბრძოლის ისტორიას. მაგრამ ბევრ რამე საყურადღებოს მაინც მოისმენ, ჩაინიშნავ, დაიხსომებ.

1943 წელს ნოე კუბლაშვილს 250 საბჭოთა ტყვესთან ერთად გერმანელები ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიის ქალაქ ტურინში გზავნიან. დიდი მეცადინეობის შემდეგ ნ. კუბლაშვილი უკავშირდება გერმანელთა იარაღის საწყობის მტერთა ვს ვიტორიოს. მისი დახმარებით აწყობს ქართველ ტყვეთა გაქცევას იტალიელ პარტიზანებთან, რომლებსაც ამ დროს ხელმძღვანელობდა მამაცი და შეუდრეკელი პატრიოტი ბრუნო. სწორედ აქედან იწყება იტალიაში ქართველების პარტიზანული მოძრაობის ისტორია.

ნ. კუბლაშვილთან ერთად სასწაულებს ახდენდნენ სერგო ჩხეირკია, გიორგი ნასარიძე, ამირან ვარდანიძე, გიორგი მათიაშვილი, გ. ტუსიაშვილი, გ. ბექაური, ვ. ურუშაძე, ს. ჭანტურია და მრავალი სხვა.

1944 წლის 5 მაისი. ნ. კუბლაშვილი მორიგ დავალებაზეა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქართველი პარტიზანები ახერხებენ ფერიერის ფაბრიკის აფეთქებას და ტყვეობიდან 53 ქართველის განთავისუფლებას.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ქართველ ტყვეთა მასობრივი გაქცევა აიძულებს გერმანელებს გააძლიერონ რკინიგზების დაცვა, რომ პარტიზანებმა ვერ შეძლონ მათი აფეთქება. ნოე კუბლაშვილი მთებიდან ეშვება მტრის ზურგში. სხვადასხვა ხერხით აწყობს კავშირს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილებთან, რომლებიც იცავენ რკინიგზებს. პირველი ცდები უშედეგოდ მთავრდება. მაშინ ნ. კუბლაშვილი თავისთან იხმობს ქართველ პარტიზანებს გ. ნასარიძეს, გ. ბექაურს, გ. მათიაშვილს, ს. ჭანტურიას და ეუბნება:

მშვიდობიანი მოლაპარაკებით არაფერი გამოდის. ჩანს სხვაგვარად უნდა ვიმოქმედოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ცოცხლად უნდა ჩავიგდოთ ხელში!

შედგა ტაქტიკური მოქმედების გეგმა. იგი ჩეხოსლოვაკიელთა რკალში მოწყვედვას გულისხმობდა. მალე პარტიზანთა შტაბში აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიელთა ერთი ჯგუფი. ვიდრე მათ დაკითხვას დაიწყებდნენ, ნ. კუბლაშვილის სახელზე მოდის ჩეხოსლოვაკიის ბატალიონის მეთაურთა თხოვნა:

„ჩვენ მთელი ბატალიონი გადმოვდივართ თქვენს მხარეზე და გთხოვთ სროლას ნუღარ აგვიტეხთ“. აქედან მოყოლებული იტალიელი, ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი პარტიზანები ერთად იბრძოდნენ გერმანელების წინააღმდეგ.

მრავალთა შორის ნ. კუბლაშვილი იგონებს კიდევ ერთ ეპიზოდს:

— ბრძანება მივიღეთ ორ დღეში გაგვეთავისუფლებინა ქალაქი რივოლი. ეს არცთუ ისე იოლი ამოცანა იყო.

ბრძოლაში მტკიცედ ჩაება ყველა ქართველი პარტიზანი. ამოცანა შესრულებულ იქნა, მაგრამ იგი ძვირად დაგვიჯდა. გმირულ ბრძოლაში დაიღუპნენ შესანიშნავი ქართველი პატრიოტები ვ. ტალახაძე, ვ. გელაშვილი და ი. კუპრაშვილი.

და არის იტალიაში სასაფლაო, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია: „გმირულად დაღუპული ქართველი პარტიზანები“.

... ფოსტის დამტარებელმა ერთხელ კიდევ შეაღო ნ. კუბლაშვილის ბინის კარი და მაგიდაზე დეპეშა დაუდო.

„მოემზადეთ იტალიაში გასამგზავრებლად“, იტყობინებიან მოსკოვიდან. იმავე დღეს ასეთივე შინაარსის დეპეშა მიიღო იპოლიტე სულაძემ.

მათ იტალიაში იწვევენ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *





სურათებზე: (ზემოთ) იტალიის კომუნისტური პარტიის პარტიული ბილეთის გარეკანი, (ქვემოთ) გ. მათიაშვილი (სურათი გადაღებულია იტალიაში, 1945 წლის 11 მაისს), ქართველ პარტიზანთა ერთი ჯგუფი იტალიაში 1944 წელს.

## ბოდბისხევური ჭურჭელი

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ბოდბისხევის მახლობლად თიხა-მიწის ვეებერთელა მთებია აღმართული. ბოდბისხეველები თიხისაგან ოდითგანვე ამზადებენ ქვევრებს, თორნეებს, ჰურჭელს. აქ ახლა კერამიკული ქარხანა მუშაობს.

გ. ბოქოლიშვილი, ა. ჭაბაშვილი, გ. ნიკუაშვილი, გ. პავლიაშვილი, თ. გოზალიშვილი, ლ. ჭაბაშვილი — ესენი საუკეთესო ოსტატები არიან და ყოველთვიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

ბოდბისხეველმა მეჭურჭლეებმა წლიური გეგმა ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ოცდაათი ათასი მანეთის ჭურჭელს დაამზადებენ.

## უძლიერესთა დუელი

თბილისის სპორტის სასახლეში დიდძალი მაყურებელი იყრის თავს. აქ ორი დღეა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ინტერესი ყოველი შეხვედრისადმი, კერძოდ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა დუელისადმი მეტად დიდია.

პირველი ორი წრის შეხვედრებიდან, გარდა იმ მატჩებისა, რომლებიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იყო დაბეჭდილი, დაძაბულობით გამოირჩეოდა უკრაინა-ესტონეთისა და მოსკოვი-რსფსრ გუნდების ასპარეზობა. ეს შეხვედრები შედგა გუშინ დილით.

ესტონელებმა გასული წლის პრიზიორებთან — უკრაინის გუნდთან ბრძოლაში გამოამჟღავნეს შესანიშნავი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება, სწრაფვა გამარჯვებისაკენ და შეჯიბრება ფრედ — 15:15 დაამთავრეს. მეტოქეთა შორის გამარჯვების საკითხი უნდა გადაეწყვიტა წმიდა მოგებებს. აქ უკეთესი მდგომარეობა უკრაინელებს აღმოაჩნდათ და მოგებაც მათ ხვდათ.

ასეთივე სიმძაფრით აღინიშნა დედაქალაქისა და რსფსრ მოჭიდავეთა კოლექტივების სპორტული პაექრობა. აქაც აღინიშნა ფრე — 15:15. რსფსრ გუნდის მდგომარეობა ბეწვზე ეკიდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის აღმოაჩნდებოდა მეტი წმინდა მოგება და ამ მოგებებზე დახარჯული ნაკლები დრო. გამარჯვება ხვდა რსფსრ გუნდს.

ამრიგად, ორ-ორი დამარცხების შემდეგ გათამაშების მწყობრიდან გავიდნენ — უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის გუნდები. მესამე წრეში დამარცხების შემდეგ მოჭიდავეთა ამ კოლექტივებს მიემატნენ მოლდავეთისა და ლატვიის გუნდები.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იდგა საქართველოსა და სომხეთის გუნდების ორთაბრძოლა. ეს გუნდები მესამე წრის მატჩამდე დაუმარცხებლად მივიდნენ. მართალია პირველ ორ წონაში აღინიშნა ფრე, მაგრამ შემდეგ წონებში უპირატესობა ქართველ მოჭიდავეთა მხარეზე იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ ანგარიშით 18:10.

გუშინ საღამოს შედგა მორიგი შეხვედრები. უკრაინის გუნდმა დაამარცხა აზერბაიჯანის მოჭიდავეთა კოლექტივი, რსფსრ — ესტონეთი, ლენინგრადმა — სომხეთი, მოსკოვმა — ბელორუსია.

შეჯიბრება გრძელდება.

## სახეს იცვლის...

ყოველწლიურად კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტი. ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს ამ შახტის მაღაროელებმა — დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ინტერნატის ორსართულიანი ახალი კაპიტალური შენობა.

აქ აიგო აგრეთვე ახალი კლუბი, რომელიც სამასამდე მაყურებელს იტევს.

დ. ჩაკაბერია.



სოხუმი, დეკემბერი. ჰყვავის ვარდი. ფოტოეტიუდი ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სამი ძმის მამაცობა

შორს მთებში მიმალულა საზღვრისპირა სოფელი. მიუხედავად ამისა, იგი მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად დღევანდელ საერთო ცხოვრებაშია ჩაბმული. სოფელი რადიოფიცირებულია, მუშაობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ბიბლიოთეკა. ბევრ კოლმეურნეს გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემები. მათს ყოველდღიურ ცხოვრებაში დამახასიათებელია ის, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებს — ჭაღარა მოხუციდან ნორჩ პიონერამდე — ახსოვთ, რომ ახლოს გადის სახელმწიფო საზღვარი, და სამშობლოს უშიშროებისათვის პასუხისმგებლად გრძნობენ თავს.

გორაკზე დგას სახლი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ არაფრით არ იყო შესანიშნავი. იქ თავის ოჯახიანად ცხოვრობს უბრალო საბჭოთა ადამიანი — სოფლის საავადმყოფოს მუშაკი, კომუნისტი სულეიმან ცინცაძე. ყველა კოლმეურნემ იცოდა, რომ მას ვაჟები ჰყავს.

გავიდა წლები და ბავშვებმა სწავლა დაიწყეს, ისინი პიონერებად მიიღეს. და აი ახლა ამ გორაკზე მდგომ სახლს სოფლის ყველა მშრომელი — დიდი და პატარა — იცნობს. აქ ხომ ცხოვრობენ ძმები ცინცაძეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც ნამდვილმა პატრიოტებმა.

ნოდარ ცინცაძე სოფლის ქუჩაში მიდიოდა და იმ პიონერული სიმღერის მოტივს ღიღინებდა, რომელიც ცოტა ხნის წინათ სკოლაში ასწავლეს. დიახ, დღეს ის ძალიან კარგ გუნებაზე იყო — ორ საგანში „ხუთიანები“ მიიღო. უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, მაგრამ ქუჩაში არავინ არ იყო. უნებურად ყურადღება მიაპყრო მთის ძირას მდგომ სახლებს. მაგრამ ეზოებშიც არავინ ჩანდა. სამაგიეროდ ტყისკენ მიმავალ შორეულ ბილიკზე ნელა მიდიოდა ვიღაც უცნობი მამაკაცი. ნოდარმა სცადა დაეძახნა უცნობისათვის, მაგრამ მან არათუ არ უპასუხა, არამედ ძალიანაც აუჩქარა ნაბიჯს. რამდენიმე წამიც არ გასულიყო, რომ უცნობი ხეებს მიეფარა. ნოდარს ყველაფერი ეს უცნაური ეჩვენა და გადაწყვიტა მესაზღვრეებისათვის ეცნობებინა... როცა უცნობი დააკავეს და დოკუმენტები გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ იგი საზღვრისპირა რეჟიმის დამრღვევი იყო.

აი მეორე შემთხვევაც. საღამოვდებოდა, როცა როსტომ და თამაზ ცინცაძეები ბრუნდებოდნენ ბუჩქნარიდან, სადაც კენკრას კრეფდნენ. სოფლამდე ორას მეტრამდეღა გზა იყო დარჩენილი, როცა ბავშვებმა კალათიანი ქალი დაინახეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მას გზა აბნეოდა. მართლაც ასე იყო. მან გზა არ იცოდა. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ვის შეიძლება აქ გზა აებნეს?! მაშასადამე, ვიღაც უცხოა.

ამჯერადაც ბავშვები სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ისინი დაეხმარნენ მესაზღვრეებს დროულად გამოერკვიათ უცნობის პიროვნება.

პიონერები როსტომ და ნოდარ ცინცაძეები მე-7 და მე-6 კლასებში სწავლობენ და „მესაზღვრის ნორჩი მეგობრის“ რაზმის წევრები არიან. ხოლო თამაზი ჯერ კიდევ ოქტომბრელია — პირველი კლასის მოსწავლე. მაგრამ მას კარგად იცნობენ მესაზღვრეები, უყვართ და თავიანთ ნორჩ მეგობრად მიაჩნიათ.

ისინი ამაყობენ თავიანთი აქტიური თანაშემწეებით — როსტომით, ნოდარითა და თამაზით და ასეც ეძახიან მათ. სამი ძმა „მესაზღვრის ნორჩი მეგობრის“ რაზმიდან.

მ. დრუჩინინი.

## მეცნიერება და ტექნიკა

### უმექანიზმო საათი

პლასტმასისაგან დამზადებული დიდი გამჭვირვალე ციფერბლატი და ორი ისარი — ერთი შეხედვით თითქოს ეს არის საათის მთელი მოწყობილობა. მაგრამ ეს ისრები უბრალო როდია. თვითეულ მათგანში მოთავსებულია „პობედის“ ტიპის პაწაწინა მექანიზმი. ამიტომ ისრები მოძრაობენ დამოუკიდებლად.

ორიგინალური კონსტრუქციის და გარეგნულად ლამაზი ასეთი საათი დაამზადა მოსკოვის № 15 ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივმა და ექსპონირებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

### მაგიდა-მაცივარი

ორიგინალური საოჯახო მაცივარი დაამზადა მოსკოვის ქარხანა „თერმოელექტროგენერატორმა“. გარეგნულად იგი წააგავს ჩვეულებრივ სამზარეულო მაგიდას, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. მაგიდის ერთ ნახევარში მოთავსებულია ნახევარგამტარებზე მომუშავე პორტატული ბატარიები, რომლებიც სიცივეს გამოიმუშავებენ.

მაგიდა-მაცივარში შეიძლება ახალი ხორცის, თევზეულის, რძის, ხილის შენახვა. მეორე ნახევარში კი არის თაროები პურჭლისა და სხვა სასადილო მოწყობილობისათვის.

## სპასკიმ დაამარცხა ტალი

ბაქო. 12 დეკემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეები გავიდნენ ფინიშის სწორზე.

მეჩვიდმეტე ტურში საერთო ყურადღებას იპყრობდა გათამაშების ლიდერის სპასკისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტალის პარტია. აქ გათამაშებულ იქნა ძველ ინდური დაცვა. მე-17 სვლამდე ყველაფერი რიგზე იყო, საშიშროება არც ერთ მხარეს არ ემუქრებოდა და მოსალოდნელი იყო ყაიმი, მაგრამ მოულოდნელად ტალი გართულების გზით წავიდა და მეტოქეს პაიკი შესწირა. შეიქმნა მწვავე პოზიცია. სპასკი წარმატებით იცავდა თავს და არა მარტო დაამტკიცა ტალის შეწირვის უსაფუძვლობა, არამედ ფიგურის მოგებაც კი შეძლო. 35-ე სვლაზე ბრძოლა შეწყდა, ლიდერმა გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა.

ორი აუტსაიდერის გურგენიძისა და ბაგიროვის პარტიაში მე-16 სვლაზე ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ასეთივე შედეგით დამთავრდა ხოლმოვისა და გიპსლისის პარტია.

ნეიმეტდინოვმა ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ მე-17 ტურში წააგო პარტია შიანოვსკისთან. ბრონშტეინმა ლამაზი სტილით მოუგო კოცს, ხასინმა — შამკოვიჩს, ხმისლოვმა — სავონს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

17 ტურის შემდეგ სპასკის პოზიცია სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო მტკიცე გახდა. მას 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 16-დან, პოლუგაევსკის — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია 16-დან, ხოლმოვს — 10 ქულა 17-დან, ბრონშტეინს — 9.5 ქულა და 1 გადადებული პარტია 16-დან, ავერბახს — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია 16-დან.

## კუპერმანი — მსოფლიოს ჩემპიონი

გუშინ მოსკოვში შედგა მატჩ-რევანშის მე-19 პარტია მსოფლიოს პირველობაზე ასუჯრედიან შაშში მსოფლიოს ჩემპიონ შჩეგოლევსა და ექს-ჩემპიონ კუპერმანს შორის. 54-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, კუპერმანმა 19 შესაძლებლიდან 10,5 ქულა შეაგროვა და დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონობა.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

## ტელეეკრანი

13 დეკემბერი

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „გაცოცხლებული ნახატები“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს და აღმზრდელად კომკავშირი“, 18.40 — კინოჟურნალი, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ვინ გვასახელებს და ვინ გვარცხვენს“, 19.10 — კინოჟურნალი, 19.20 — სატელევიზიო მიმოხილვა „ოთხი ჯადოსნური ზარი“, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — მხატვრული ფილმი „უღელტეხილი“.